

კომუნიკაცია

თქვენმა პატარამ უკვე იცის თავისი სახელი და შეუძლია სიხარულის გამოხატვა ჭყლოპინით. თქვენი ყურადღების მისაქცევად მან შეიძლება წამოიყვიროს ან იკვილოს. თქვენთან ან სხვა ნაცნობთან თამაშისას იტიტინოს, გამოსცეს მარცვლები „მა-მა“ ან „და-და“. ის სწავლობს დამშვიდობებისას ხელის დაქნევას.

მსუბუქი მასაჟი

თქვენს პატარას ბანაობის შემდეგ ნაზად შეაჩილეთ ტანზე საბავშვო ლოსიონი ან ზეთი და ესაუბრეთ გასული დღის შესახებ: „ჩვენ დღეს ძალაზიაში ვიყავით, შენ დღეს ბებოს ნაჩუქარი ახალი შარვალი გეცვა“.

რა არის ეს?

როდესაც თქვენი ბავშვი რაიმე ხმას გაიგებს, დაეხმარეთ ხმის წყაროს ამოცნობაში და ჰკითხეთ: „რა არის ეს? მამიკოს მანქანაა? გესმის ძაღლის ხმა?“

ბგერები

დაახლოებით 5 თვის ასაკიდან ბავშვი უკვე სხვადასხვა ბგერებს გამოთქვამს: „ბა“, „მმმ“, „და“, „ეე“ „აჰ“, „ოო“. გაიმეორეთ ბგერები, რომელსაც ბავშვი გამოთქვამს და თითები მიადებინეთ თქვენს ტუჩებზე, რომ მან ვიბრაცია შეიგრძნოს.

ნდობის მოპოვება სიტყვებით

როდესაც თქვენ საქმის გასაკეთებლად მიდიხართ, განაგრძეთ მასთან სიტყვიერი კავშირი, ესაუბრეთ იმაზე, რასაც აკეთებთ: „მე აქვე ვარ. სარეცხს ვფენ და მალე დავბრუნდები.“ დაბრუნების შემდეგაც განაგრძეთ მასთან საუბარი: „მოგენატრე?“

წაკითხვის დრო

პატარას მოსწონს სურათებიანი წიგნის ან ჟურნალის დათვალიერება. ჩაისვით კალთაში, აჩვენეთ სხვადასხვა სურათები: ტელეფონი, ძაღლი, მანქანა, კოვზი და ესაუბრეთ ნახატის შესახებ: „ხედავ ტელეფონს? ეს შენია“.

სიმღერა

ბანაობის, საფენის გამოცვლის ან ჩაცმის დროს უმღერეთ ნაცნობი ან თქვენი გამოგონილი სიმღერა: „დელი-დელი-დელია, ჩვენი წყალი ცხელია“.

დახუჭობანა

მოშორდით მისი მხედველობის არედან და დაუმახეთ სახელი, მოიცადეთ რამდენიმე წამი და დაენახეთ: „აი, აქ ვარ!“ გაიმეორეთ იგივე სხვა ადგილიდან.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენი ბავშვი სულ უფრო და უფრო ღონიერი ხდება. თავი უკვე კარგად უჭირავს და ყველაფერს აკვირდება, რაც გარშემო ხდება. სწავლობს დამოუკიდებლად წამოჯდომას, რისთვისაც თავიდან საკუთარ ხელებს ეყრდნობა. მოსწონს, როდესაც დგას და თქვენ გიჭირავთ. მალე დამოუკიდებლად წამოდგომასაც შეძლებს.

იატაკზე თამაშის დრო	იატაკზე ან მინდორზე (ჩრდილში) დააფინეთ საბანი. დააწვინეთ ბავშვი მუცელზე, წინ დაულაგეთ სათამაშოები და წახალისეთ, რომ მიწვედეს ამ სათამაშოებს ნებისმიერი გზით - გადაგორებით, ცოცვით, ხოხვით. აუცილებელია, რომ გარკვეული პერიოდი ზურგზეც იწვეს.
ჯდომა	დაეხმარეთ, იჯდეს დამოუკიდებლად. მიუჯექით უკნიდან და ცოტათი დაეხმარეთ. თქვენს მაგივრად ეს შეიძლება გააკეთოს მისმა უფროსმა დამ ან ძმამ. თავიდან ბავშვს ურჩევნია დაიჭიროთ ხელებით. მოგვიანებით უკვე შეძლებს დამოუკიდებელი ჯდომისას ხელებით სათამაშოს ჭერას. უჩურჩულეთ ყურში, რომ ის არაჩვეულებრივად კარგი ბავშვია! როდესაც უკვე დამოუკიდებლად ჯდომას ისწავლის, დახმარებაც თანდათან შეამცირეთ.
ბუნწობა	ხელებში მოკიდეთ ბავშვს და დაეხმარეთ, რომ წამოდგეს. საწოლზე, დივანზე ან თქვენს კალთაში ფეხზე დგომისას ოდნავ ახტუნავეთ, თან უმღერეთ: „სკუპ, სკუპ სკუპ, რა მაგარია!“
ფეხზე დგომა (7 თვიდან)	პატარას უკვე შეუძლია დგომა თუ ხელებით მაგიდას ან სკამის კიდეს ეყრდნობა და ხელს სათამაშოსკენ იწვედეს. დაბალი მაგიდიდან და თაროებიდან აიღეთ მსხვრევადი ნივთები. მათ მაგივრად კი მისი საყვარელი სათამაშოები დაალაგეთ.
პატარა მკვლევარი	თქვენი ბავშვი უკვე სწავლობს ხოხვას. მას სურს, რომ მთელი სახლი შეისწავლოს: „რა არის მაგიდის ქვეშ? რა არის სკამის უკან?“ დარწმუნდით, რომ ის ადგილები, სადაც პატარა ხოხავს, უსაფრთხოა და სუფთა. ორივესთვის კარგი ვარჯიშია!
დაბრკოლებები (6-7 თვიდან)	როდესაც პატარა ხოხავს დაიწყებს, შეგიძლიათ მას მარტივი დაბრკოლებები შეუქმნათ, მაგალითად ბალიშის ან სიგრძეზე დახვეული პირსახოცების სახით, რათა გადახოხდეს ან ირგვლივ შემოუაროს მათ.
დამხმარე მზარეული	როდესაც თქვენი პატარა მყარად ჯდომას ისწავლის, მიეცით პატარა ქვაბი და კოვზი. მას მოეწონება მათი დარტყმის, გაგორების და კაკუნის ხმა.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვის მუშტები თანდათან უფრო გაშლილია. მას უყვარს საინტერესო საგნისკენ ან სათამაშოსკენ ხელის გაწვდენა და ორივე ხელით ჩაბლუჯვა. ხანდახან ერთი ხელითაც უჭირავს! ის სწავლობს საკუთარი თითების გამოყენებას და ეს დღითი დღე უკეთ გამოხდის.

ხმოვანი სათამაშოები	მიეცით თქვენს ბავშვს სათამაშოები, რომლებიც სხვადასხვა ხმას გამოსცემენ ან სხვადასხვა ზედაპირი აქვთ. ზოგჯერ მას აინტერესებს არა სათამაშო, არამედ რაიმე სხვა ნივთი, მაგალითად კოვზი.
ნამცეცების შეგროვება	როდესაც ის იწყებს მყარი საკვების მიღებას, მას სიამოვნებას როდესაც საჭმლის ნამცეცებს ცერა და საჩვენებელი თითით იღებს. არ დაუშალოთ, ეს სასაცილო ქცევა მას მხედველობას და თითებს გაუვარჯიშებს.
ყინული	დატეხეთ ყინული პატარა ნაწილებად ისე, რომ უსაფრთხო იყოს და პატარამაც ადვილად შეჭამოს. ცივი ყინული ესიამოვნება ახლადამოსულ პაწაწინა კბილებზე და ღრძილებზე.
დაგდება და ჩაყრა	როცა თქვენი პატარა უკვე დამოუკიდებლად ზის, მოსწონს იატაკზე ჯდომა და ნივთების გადაყრა. აიღეთ პლასტმასის ყუთი და მიეცით რაიმე სათამაშო, მაგალითად პატარა ბურთი, რომ ის ამ ყუთში ჩააგდოს. ჯერ გააკეთეთ თქვენ და აჩვენეთ როგორ უნდა ამის გაკეთება. თავიდან დახმარება დასჭირდება. შემდეგ კი თვითონ გააკეთებს და მრავალჯერაც გაიმეორებს.
თითებით ხატვა	რაიმე თხიერი საკვები (იოგურტი) დაუდეთ თეფშზე და დაახატინეთ თითებით. შეუძლია თავისი ნახატი შეჭამოს კიდევ ☺
მაკარონი	დაუდეთ ცივი მოხარშული მაკარონი, მიეცით საშუალება ხელით აიღოს ერთი ცალი. ეს ხელების გავარჯიშებაში მიეხმარება.
ბურღული	ჩაყარეთ ბურღულის რამდენიმე ბურთულა პლასტმასის ბოთლში და დააკვირდით, შეძლებს თუ არა თქვენი ბავშვი მის ამოღებას იმისთვის, რომ შეჭამოს.
ბანაობის დრო	ბანაობა საუკეთესო დროა მხიარულებისთვის. ის კარგი დროა საგნების დაჭერასა და წყლის გადასხმაში გასავარჯიშებლად. წყალში ჩაუყარეთ სათამაშო ჯამები და დოქები. რა კარგია წყალი და წყლის ბუშტები!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენმა პატარამ ბევრი რამე ისწავლა, უკვე პოულობს ნახევრად დამალულ სათამაშოებს და ცდილობს მიწვდეს იმასაც, რაც მისგან შორსაა. ანსხვავებს გაბრაზებულ ხმას მოაღერსესგან და ამჯობინებს მოაღერსეს. მას მოსწონს დამალობანას და ჭიტას თამაში.

სად წავიდა?	როდესაც თქვენი ბავშვი გიყურებთ, აიფარეთ სახეზე ნაჭერი და ჰკითხეთ: “სად არის დედა?” მოიშორეთ ნაჭერი და თქვით: „მე აქ ვარ“! ან დააფარეთ ის ბავშვის თოჯინას ან დათუნას და ჰკითხეთ: “სად არის დათუნია?” მოაშორეთ გადასაფარებელი და თქვით: „აქ ყოფილა“.
ნავეები ბანაობისას	ბანაობის დროს ჩაუყარეთ სხვადასხვა პლასტმასის ჭურჭელი წყალში. ის ისწავლის, როგორ ხდება ჩაძირვა, ტივტივი, გადაყირავება, დაღვრა.
რეაქცია	ბავშვს მოუტანეთ წრიპინა (ხელის მოჭერით რომ ხმას გამოსცემს), საგორავებელი (თოკით რომ გააგორებს), დილაკზე ხელის დასაჭერი (დილაკზე ხელის დაჭერისას, რომ თოჯინა ამოხტება) სათამაშოები. აჩვენეთ, როგორ მუშაობენ ეს სათამაშოები და უთხარით: „შეხედე, რა მოხდა“.
ხმოვანი სათამაშოს დამალვა	დამალეთ სათამაშო ან ნივთი, რომელიც ხმას გამოსცემს. მაგალითად, დამალეთ ზარი საბნის ქვეშ ისე, რომ ამ დროს ბავშვი გიყურებდეთ. ხელი შეყავით საბნის ქვეშ და აახმაურეთ ეს ნივთი. დაეხმარეთ, თვითონაც მოძებნოს სათამაშო. შემდეგ დამალეთ საგანი მის გვერდით, შემდეგ მის უკან ისე, რომ ბავშვი მოსაძებნად შემოტრიალდეს და ირგვლივ მიმოიხედოს. დაეხმარეთ ამ ნივთის პოვნაში.
მუსიკოსი	ორივე ხელში დააჭერინეთ კოვზები ან კუბები და აჩვენეთ როგორ უნდა მაგიდაზე ან სკამის ზედაპირზე დაკაკუნება, თან იმღერეთ. ჯერ იმღერეთ და აბრაზუნეთ ხმამაღლა, შემდეგ იმღერეთ და აბრაზუნეთ შედარებით ხმადბლა. ვაშააა, რა ბენდი გამოვიდა!
სად არის ბავშვი?	სცადეთ „ჭიტას“ უფრო მხიარული ვარიანტი. თეთრეულის დაკეცვისას დააფარეთ ბავშვს ზეწარი, პირსახოცი ან რაიმე ნაჭერი, „სად არის ბავშვი?“. დაიცადეთ რამდენიმე წამი და ჩამოწიეთ ნაჭერი: „უიიი, აქ ყოფილა!“
უსაფრთხო ქვიშის ყუთი	პატარა ჭურჭელში ჩაუყარეთ ქვიშასავით მსხვილად დაფქვილი ბურღული და მოაკიდებინეთ ხელი. ესაუბრეთ, რას გრძნობთ და აჩვენეთ, როგორ უნდა თითებით გადმოყრა: „ოოო, რა მსუბუქია!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენი პატარა უკვე კარგად გცნობთ და თქვენსკენ ხელებს იშვერს. ისწავლა უცხოობა. უყვარს სარკეში საკუთარ გამოსახულებასთან თამაში. თუ თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს, საკმაოდ კონტაქტურია.

ბავშვის ჭიქა	დააჭერინეთ პლასტმასის ჭიქა. ჩაახხით ცოტა წყალი და დაელოდეთ რას იზამს. სავარაუდოდ შეეცდება ჭიქიდან დაღევას. მიეცით ექსპერიმენტის საშუალება. თავიდან ალბად დაეღვრება, რისთვისაც მზად უნდა იყოთ (გაუკეთეთ წინსაფარი).
საკუთარი სხეულის შესწავლა	თქვენი ბავშვი იწყებს თავისი სხეულის ნაწილების აღქმას და სავარაუდოდ ძალიან დაინტერესებული უნდა იყოს თავისი ხელებითა და ფეხებით. წახალისეთ ისეთი თამაშებით, სადაც თითებით ითამაშებს (მაგალითად „ბოლია-ბოლია“). ესაუბრეთ მისი სხეულის ნაწილების შესახებ. როდესაც საკუთარ ფეხებს ეხება, უთხარით: „შენ იპოვე შენი ფეხები!“
დამოუკიდებლად ჭამა	წახალისეთ თქვენი ბავშვი, რომ თითებით აიღოს პატარა ორცხობილა (კრეკერი) ან ბურღულის მარცვალი. ასევე, დააჭერინეთ თავისი კოვზი, სანამ თქვენ სხვა კოვზით აჭმევთ. რიგ-რიგობით „აჭამეთ ერთმანეთს“, ჯერ ვითომ ის გაჭმევთ, მერე თქვენ ჩაუდეთ ლუკმა პირში. ამ გზით ის მიხვდება, თუ როგორ უნდა დამოუკიდებლად ჭამა.
ჩურჩული	რწევის, სიარულის და ცეკვის დროს ჩასჩურჩულეთ თქვენს ბავშვს ტკბილი სიტყვები. ჩურჩული ეხმარება მას დაწყნარებაში და სწავლობს, რომ შეიძლება ჩუმად და სიყვარულით საუბარი.
სოციალიზაციის დრო	სათამაშოდ დაპატიჟეთ სხვა მშობელი თავის ბავშვთან ერთად. ბავშვები შეხედავენ ერთმანეთს, გაიწვდენენ ხელს ერთმანეთისკენ და დაიწყებენ ერთმანეთის შესწავლას. თქვენც მათთან ერთად იყავით, რომ ერთმანეთს არაფერი დაუშავონ.
დამშვიდობება	როდესაც ოთახიდან გადიხართ, დაემშვიდობეთ პატარას ხელის დაქნევით, თან უთხარით, სადაც მიდიხართ: „მე შენს საძინებელში მივდივარ შენი საბნის მოსატანად. მალე დავბრუნდები, ნახვამდის“.
სარკეში	ბავშვთან ერთად სარკეში ყურებისას ესაუბრეთ სხეულის ნაწილების: თვალების, ცხვირის, ყურების შესახებ. შეეხეთ თქვენს ცხვირს და თქვით: „აი, მამიკოს ცხვირი“. შეეხეთ მის ცხვირს და თქვით: „აი, პატარას ცხვირი“. შემდეგ რიგრიგობით შეეხეთ ხან თქვენს, ხან ბავშვის თვალებს და თქვით: „მამიკოს თვალები, ბავშვის თვალები“. ითამაშეთ ეს თამაში მანამდე, სანამ მას ეს აინტერესებს.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.